ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-19/01173372 549-17

„02" 03 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი–საბურთალო, შარტავას ქუჩაზე (საკ. კოდი №01.10.13.015.078) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა — IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება — №3404863 19.07.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი–საბურთალო, შარტავას ქუჩაზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-6" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „1-2" და „3-4" მონაკვეთებში შემცირებულია ვიტრაჟის სიგანე 0.15 მ-ით. „2-3" მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შემცირებულია ვიტრაჟის სიმაღლე 0.3 მ-ით. ფასადზე ნაწილობრივ შეცვლილია ქვით მოპირკეთების გაბარიტები. +49.50 ნიშნულზე, „1-4" მონაკვეთში აივნის თავზე შემცირებულია გადახურვის სიმაღლე 0.15 მ-ით და გაზრდილია გადახურვის ფილის სისქე. ფასადზე „4-5" მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟებს შორის კედლის სიგრძე 0.2 მ-ით. „2-3" მონაკვეთში +52.80 ნიშნულის მიმდებარედ გაზრდილია ღიობის სიმაღლე 0.5 მ-ით. „1-2" მონაკვეთში გაზრდილია აივნების სიგრძე. „5-5/" მონაკვეთში ავტოსადგომის კარის თავზე არ არის მოწყობილი წარწერა. ±0.00 ნიშნულზე „1-5" მონაკვეთში შეცვლილია კარის გაბარიტები. +6.40 ნიშნულზე აივნებს შორის შემცირებულია მინამაგნეზიტის ფილებით მოპირკეთების გაბარიტები.

„დ-ა" ფასადი: ფასადი ნაწილობრივ შესაღებია. „დ-დ" ღერძთან არ არის მოწყობილი წყალშემკრები მილი. არსებული რელიეფის დონე არ შეესაბამება საპროექტოს. +52.80 ნიშნულზე შეცვლილია კედლის ფორმა, დამატებულია არმატურის ნაშვერები, ფასადი ნაწილობრივ შესალესი და შესაღებია. „1-1" ღერძის მიმდებარედ „დ-დ" ღერძის გარეთ დამატებულია ლითონის კარი.

„ა-დ" ფასადი: ფასადი ნაწილობრივ შესაღებია. „დ-დ" ღერძთან გაუქმებულია წყალშემკრები მილი. +49.50 და +52.80 ნიშნულებზე „ბ-გ" მონაკვეთში კაპიტალური და მინის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. „ა-დ" მონაკვეთში +46.20 ნიშნულზე დაწეულია რიგელის და ფილის დონე 0.2 მ-ით. +52.80 ნიშნულზე, „ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. +46.20 ნიშნულზე „4-4" ღერძზე „ა-ბ" მონაკვეთში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი.

„6-1" ფასადი: ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. ფასადზე ნაწილობრივ შესრულებულია რელიეფური ლესვა. +52.80 ნიშნულზე „4-3" და „2-1" მონაკვეთებში არ არის მოწყობილი ლითონის კონსტრუქციაზე მოწყობილი მინამაგნეზიტის ფილები +49.50 და +52.80 ნიშნულებზე „4-4" ღერძის მიმდებარედ შემცირებულია ვიტრაჟის და მოაჯირის სიგრძე 0.5 მ-ით, რითაც „5-4" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟებს შორის შუაკედლის სიგრძე, ამავე ნიშნულებზე მონოლითური ფილა ნაწილობრივ შესალესი და შესაღებია და გაზრდილია ფილის სისქე. +52.80 ნიშნულზე „4-3" მონაკვეთში შემცირებულია აივნის სიგრძე 0.4 მ-ით. „5-4" მონაკვეთში +49.50 ნიშნულზე ვიტრაჟებში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია ვიზუალი. ამავე ნიშნულზე, „5-4" მონაკვეთში გაზრდილია მონოლითური ფილის სიგრძე 0.3 მ-ით.

-6.60 და -3.30 ნიშნულებზე „4-4" ღერძზე „ა-ბ" მონაკვეთში გაუქმებულია ღიობები და გაზრდილია მონოლითური კედლების სიგრძე. -6.60 ნიშნულზე „..." მონაკვეთში ფილაში დამატებულია ღიობი. -6.60 და -3.30 ნიშნულებზე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

გარეთ შემცირებულია სიმაღლე 0.4 მ-ით. ±0.00 ნიშნულზე „1-4“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის მიმდებარედ ვიტრაჟები მონაცვლებულია 0.4 მ-ით, რითაც შემცირდა შენობის ფართი 4.5 მ²-ით. „2-3“ მონაკვეთში „ბ-ა“ ღერძებს შორის დამატებით მოწყობილია ფილა 6 მ² ფართის. „5-6“ მონაკვეთში „ა-ბ“ ღერძებს შორის შეცვლილია ლიფტის შახტის კედლების გაბარიტები. +6.60 ნიშნულზე, „დ-დ“ ღერძის გარეთ შემცირებულია კედლის სიმაღლე 1,1 მ-ით, ასევე შეცვლილია კედლის ფორმა და ტერასის გაბარიტები. ტერასა ნაწილობრივ მოსაპირკეთებელია. +52.80 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე 0.5 მ-ით, ასევე „2-4“ მონაკვეთში გაუქმებულია ლიფტის გაჩერებები, ხოლო ლიფტის შახტაში დამატებულია ლითონის კონსტრუქცია და ლითონის საფეხმავლო ხიდები. +46.20 ნიშნულზე „4-6“ მონაკვეთში ტერასებზე შესრულებულია ფილებით მოპირკეთება.

შენობაში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები და შეცვლილია ზოგიერთი კოლონის ფორმა და კვეთი. შენობის ფასადებზე დამატებულია გამწოვი მილები, საკვლიტური თეფშები და კონდიციონერები. ფასადებზე აივნებზე მინის მოაჯირების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. შენობაში შეცვლილია საკუნძულაკო შახტების რაოდენობა, გაზრდილია მათი გაბარიტები და დამატებულია ლიფტის ქუდები. ფასადებზე შეცვლილია მოაჯირების სიმაღლე. სახურავზე ნაწილობრივ შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია. „1-6“ და „6-1“ ფასადებზე წყალშემკრები მილების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. „5-6“ მონაკვეთში „ა-ბ“ ღერძების შორის შეცვლილია ლიფტის კონსტრუქცია და მექანიზმი, ასევე შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები. „ბ-ბ“ ღერძის მიმდებარედ „5-6“ მონაკვეთში -6.60 და -3.30 ნიშნულებზე დამატებით მოწყობილია ასაწევი კარი. შენობაში დამატებულია რიგელები და შეცვლილია კოლონების და სვეტების რაოდენობა. შენობაში „2-4“ მონაკვეთში სართულებზე შემცირებულია ლიფტის შახტის ღიობების გაბარიტები. „1-6“ და „6-1“ ფასადებზე აივნებს შორის მოწყობილი მინამაგნეზიტის ფილები შესალესი და შესაღებია. „6-6“ ღერძთან „დ-დ“ ღერძის გარეთ დამატებულია მცირე ზომის კედელი. შენობაში „2-3“ მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. „1-1“ და „დ-დ“ ღერძების გარეთ გაუქმებულია გამწვანების ზოლი.

„ა-ა“ ღერძის გარეთ „4-6“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია დაბალი ბეტონის კედელი, მოაჯირი და პანდუსი, რომელიც ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს. საკადასტრო საზღვრებს გარეთ დამატებით მოწყობილია შლაგბაუმი.

წარმოსადგენია შენობაში „5-6“ მონაკვეთში მოწყობილი ლიფტის გამოცდის აქტი.

ს.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ინდეკო“-ს, ქ. თბილისში, სექტორი–საბურთალო, შარტავას ქუჩაზე (საკ. კოდი №01.10.13.015.078) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0117338542-17 04.12.2017წ. განცხადება.
№წ-19/0117338542-17 05.12.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე

№ 4-1/ი1312-18
"17" 07 2018 წ.

დადგენილება №000160
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

17.07.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2018 წლის 17 ივლისის №000160 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. „ინდეკო"-ს** (ს/კ №202376133; დირექტორი - იოსებ გორგილაძე; მის: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნინოშვილის ქ. №44) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, შარტავას ქუჩაზე (ს/კ №01.10.13.015.078), შ.პ.ს. „ინდეკო"-ს მიერ, განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3404863 19.07.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: „1-6" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „1-2" და „3-4" მონაკვეთებში შემცირებულია ვიტრაჟის სიგანე 0.15 მ-ით. „2-3" მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შემცირებულია ვიტრაჟის სიმაღლე 0.3 მ-ით. ფასადზე ნაწილობრივ შეცვლილია ქვით მოპირკეთების გაბარიტები. +49.50 ნიშნულზე, „1-4" მონაკვეთში აივნის თავზე შემცირებულია გადახურვის სიმაღლე 0.15 მ-ით და გაზრდილია გადახურვის ფილის სისქე. ფასადზე „4-5" მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟებს შორის კედლის სიგრძე 0.2 მ-ით. „2-3" მონაკვეთში +52.80 ნიშნულის მიმდებარედ გაზრდილია ღიობის სიმაღლე 0.5 მ-ით. „1-2" მონაკვეთში გაზრდილია აივნების სიგრძე. „5-5/" მონაკვეთში ავტოსადგომის კარის თავზე არ არის მოწყობილი წარწერა. ±0.00 ნიშნულზე „1-5" მონაკვეთში შეცვლილია კარის გაბარიტები. +6.40 ნიშნულზე აივნებს შორის შემცირებულია მინამაგნეზიტის ფილებით მოპირკეთების გაბარიტები. „დ-ა" ფასადი: ფასადი ნაწილობრივ შესაღებია. „დ-დ" ღერძთან არ არის მოწყობილი წყალშემკრები მილი. არსებული რელიეფის დონე არ შეესაბამება საპროექტოს. +52.80 ნიშნულზე შეცვლილია კედლის ფორმა, დამატებულია არმატურის ნაშვერები, ფასადი ნაწილობრივ შესალესი და შესაღებია. „1-1" ღერძის მიმდებარედ „დ-დ" ღერძის გარეთ დამატებულია ლითონის კარი. „ა-დ" ფასადი: ფასადი

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ნაწილობრივ შესაღებია. „დ-დ“ ღერძთან გაუქმებულია წყალშემკრები მილი. +49.50 და +52.80 ნიშნულებზე „ბ-გ“ მონაკვეთში კაპიტალური და მინის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. „ა-დ“ მონაკვეთში +46.20 ნიშნულზე დაწეულია რიგელის და ფილის დონე 0.2 მ-ით. +52.80 ნიშნულზე, „ა-ბ“ მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. +46.20 ნიშნულზე „4-4“ ღერძზე „ა-ბ“ მონაკვეთში კარს მონაცვლებული აქვთ ადგილი. „6-1“ ფასადი: ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. ფასადზე ნაწილობრივ შესრულებულია რელიეფური ლესვა. +52.80 ნიშნულზე „4-3“ და „2-1“ მონაკვეთებში არ არის მოწყობილი ლითონის კონსტრუქციაზე მოწყობილი მინამაგნეზიტის ფილები +49.50 და +52.80 ნიშნულებზე „4-4“ ღერძის მიმდებარედ შემცირებულია ვიტრაჟის და მოაჯირის სიგრძე 0.5 მ-ით, რითაც „5-4“ მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟებს შორის შუაკედლის სიგრძე, ამავე ნიშნულებზე მონოლითური ფილა ნაწილობრივ შესალესი და შესაღებია და გაზრდილია ფილის სისქე. +52.80 ნიშნულზე „4-3“ მონაკვეთში შემცირებულია აივნის სიგრძე 0.4 მ-ით. „5-4“ მონაკვეთში +49.50 ნიშნულზე ვიტრაჟებში კარს მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია ვიზუალი. ამავე ნიშნულზე, „5-4“ მონაკვეთში გაზრდილია კონსოლური ფილის სიგრძე 0.3 მ-ით. -6.60 და -3.30 ნიშნულებზე „4-4“ ღერძზე „ა-ბ“ მონაკვეთში გაუქმებულია ღიობები და გაზრდილია მონოლითური კედლების სიგრძე. -6.60 ნიშნულზე „ბ-გ“ მონაკვეთში ფილაში დამატებულია ღიობი. -6.60 და -3.30 ნიშნულებზე „დ-დ“ ღერძის გარეთ შემცირებულია სიმაღლე 0.4 მ-ით. ±0.00 ნიშნულზე „1-4“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის მიმდებარედ ვიტრაჟები მონაცვლებულია 0.4 მ-ით, რითაც შემცირდა შენობის ფართი 4.5 მ^2-ით. „2-3“ მონაკვეთში „ბ-ა“ ღერძებს შორის დამატებით მოწყობილია ფილა 8 მ^2 ფართის. „5-6“ მონაკვეთში „ა-ბ“ ღერძებს შორის შეცვლილია ლიფტის შახტის კედლების გაბარიტები. +6.60 ნიშნულზე, „დ-დ“ ღერძის გარეთ შემცირებულია კედლის სიმაღლე 1,1 მ-ით, ასევე შეცვლილია კედლის ფორმა და ტერასის გაბარიტები. ტერასა ნაწილობრივ მოსაპირკეთებელია. +52.80 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე 0.5 მ-ით, ასევე „2-4“ მონაკვეთში გაუქმებულია ლიფტის გაჩერებები, ხოლო ლიფტის შახტაში დამატებულია ლითონის კონსტრუქცია და ლითონის საფეხმავლო ხიდები. +46.20 ნიშნულზე „4-6“ მონაკვეთში ტერასებზე შესრულებულია ფილებით მოპირკეთება. შენობაში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები და შეცვლილია ზოგიერთი კოლონის ფორმა და კვეთი. შენობის ფასადებზე დამატებულია გამწოვი მილები, სატელიტური თეფშები და კონდიციონერები. ფასადებზე აივნებზე მინის მოაჯირების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. შენობაში შეცვლილია სავენტილაციო შახტების რაოდენობა, გაზრდილია მათი გაბარიტები და დამატებულია თუნუქის ქუდები. ფასადებზე შეცვლილია მოაჯირების სიმაღლე. სახურავზე ნაწილობრივ შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია. „1-6“ და „6-1“ ფასადებზე წყალშემკრები მილების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. „5-6“ მონაკვეთში „ა-ბ“ ღერძებს შორის შეცვლილია ლიფტის კონსტრუქცია და მექანიზმი, ასევე შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები. „ბ-ბ“ ღერძის მიმდებარედ „5-6“ მონაკვეთში -6.60 და -3.30 ნიშნულებზე დამატებით მოწყობილია ასაწევი კარი. შენობაში დამატებულია რიგელები და შეცვლილია კოლონების და სვეტების რაოდენობა. შენობაში „2-4“ მონაკვეთში სართულებზე შემცირებულია ლიფტის შახტის ღიობების გაბარიტები. „1-6“ და „6-1“ ფასადებზე აივნებს შორის მოწყობილი მინამაგნეზიტის ფილები შესალესი და შესაღებია. „6-6“ ღერძთან „დ-დ“ ღერძის გარეთ დამატებულია მცირე ზომის კედელი. შენობაში „2-3“ მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. „1-1“ და „დ-დ“ ღერძების გარეთ გაუქმებულია გამწვანების ზოლი. „ა-ა“ ღერძის გარეთ „4-6“ მონაკვეთში დამატებით

მოწყობილია დაბალი ბეტონის კედელი, მოაჯირი და პანდუსი, რომელიც ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს. საკადასტრო საზღვრებს გარეთ დამატებით მოწყობილია შლაგბაუმი.

2018 წლის 17 ივლისს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000160 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №10/01181932751-17 12.07.2018წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში 2018 წლის 7 მარტს შესული №2051-IIს ცვლილებით (სარეგისტრაციო კოდი №240110000.05.001.018779; გამოქვეყნების თარიღი 21.03.2018წ.) აღნიშნულ სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით და მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს პირის დაჯარიმებას 15000 (თხუთმეტიათასი) ლარის ოდენობით. ვინაიდან, სამართალდარღვევა ჩადენილია დასახელებული ცვლილებებისა და დამატებების ამოქმედებამდე (ზემოაღნიშნული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-19/0117338542-17 ბრძანება მიღებულია 2018 წლის 2 მარტს), ხოლო საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს", მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს გაზრდილი საჯარიმო თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ინდეკო"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, შარტავას ქუჩაზე (ს/კ №01.10.13.015.078), განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3404863 19.07.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ინდეკო" დაჯარიმდეს 4000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა) მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. „ინდეკო"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი**: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება**: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „ინდეკო"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, „დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7);

სამსახურის უფროსის
მოადგილე მამუკა ჯაყელი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი. 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000160

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 17.07.18წ

საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება შემდეგი შემთხვევის გამო:

ა) მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებისას;

ბ) მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;

გ) დამრღვევისთვის საურავის შესახებ დადგენილების მიღებისას;

დ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოუდგენლობისას;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების გატარებას;

ზ) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო ობიექტებზე არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობისას;

თ) მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისას.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს „ინგეო“ ს/კ 202376133
(ფაქტობრივი: ინგო ვარდიაშვილი 55213625გ, 61001017461) მის: ქ. თბილისი
ნინოშვილის ქ. №44

ობიექტის დასახელება და მისამართი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
მის: ქ. თბილისი ალ-ის ქ. №39 (ს/კ კოდი №01.10.13.015.078)

შემოწმებით დადგინდა: ფაქტობრივად ქ. თბილისში ალ-ის
№39 „ქ. თბილისში მდებარე ძველთბილისური სტილის
19.07.17წ შპძნების შეძახების ძველთბილისური ხელოვნური
ფასადის ალ-ის ინსპექტირების №000160 შემოწმების აქტით
განსაზღვრული

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შემოწმების აქტის გაცნობა (პირდაპირი ჩაბარებით), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება შემოწმების აქტში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).
შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი

საგადახდო დავალება
Payment Order

1532696628 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 27/07/2018

გადამხდელი / Sender

შპს 'ინდეკო', 202376133

რეფერენსი / Ref. Num.

2156442977

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE65TB7790936070100001

თანხა / Amount

4,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank | ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი | TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ოთხი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს 'ინდეკო', 202376133

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 202376133

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date
27/07/2018

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury | ბანკის კოდი / Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება 000160 . საკ კოდი 01.10.13.015.078

ხელმოწერა
Signature

დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.